



რჩევა ფერმერებისთვის

მარწყვის პოპულარობა ძალზე საადრეო სიმნივემ (I ადგილზე ადრეულ ხეხილოვნებს შორის), ნაყოფის მიმზიდველმა შესხედულებამ, საუკეთესო გემურმა და დიეტურმა თვისებებმა, ადვილად გამრავლების და სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებთან შეგუების უნარმა განაპირობა.

მარწყვის ნაყოფი შეიცავს 10-12% მშრალ ნივთიერებას; 5-8% - შაქრებს, უმეტესად (ფრუქტოზის და გლუკოზის სახით); ორგანულ მჟავებს 0,7-1,5%. ცილებს 0,8%. C ვიტამინს 60 მგ%. კენკროვნები მდიდარია მიკროელემენტების შემცველობით, მათ შორის, მარწყვის ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას. ნაყოფის მოხმარება ხდება, როგორც ახალი და გაყინული, ისე გადაამუშავებული სახით (მურაბა, პასტილა, წვენი).

მარწყვი ხასიათდება გარემოს მიმართ კარგი შემგუებლობით. მცენარე სინათლის მოყვარულია და კარგად ზამთრობს თოვლის საფარის ქვეშ, ადვილად იტანენ დაზრდილვას, უკეთეს მოსავალს იძლევა კარგად განათებულ ადგილებში, თუმცა ჩრდილშიც კარგად იზრდება.

მარწყვი მომთხონია ნიადაგის ნაყოფიერების მიმართ. მისთვის უკეთესია ქვიშნარი ან მსუბუქი თიხნარი, ტყის მუქი ნიადაგები, შავმიწები, ალუვიური და მდელოს ნემომპალიანი ნიადაგები, რომლებიც გამოირჩევიან კვების ელემენტების მაღალი შემცველობით და საკმაო ტენიანობით. ვერ ეგუება მუავე ნიადაგებს.

ჭიშები

საქართველოში გავრცელებულია, მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური (რემონტატული) ჯიშები. მოკლე დღის ჯიშები საყვავილე კვირტებს ივითარებს შემოდგომით, როდესაც დღე მოკლეა. დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალურმა ჯიშებმა შეიძლება საყვავილე კვირტები ჩაისახოს დღის ნებისმიერი ხანგრძლივობის პირობებში, საქართველოში ზაფხულის გრძელი დღეების პერიოდშიც კვირტები აგრძელებს განვითარებას, თუ ტემპერატურა არ არის ძალიან მაღალი ან დაბალი.

მოკლე დღის (ივნისში მსხმოიარე) მარწყვის ჯიშები შიდა ქართლის რეგიონში მოსავალს იძლევა მაისის ბოლოდან ივნისის ჩათვლით, რაც დამოკიდებულია ჯიშებზე,

კულტივაციის მეთოდებზე და გადახურული სტრუქტურების გამოყენებაზე (მაგ. რიგის საფარი, დაბალი ან მაღალი გადახურული გვირაბები).

საქართველოს შედარებით ცივ რეგიონებში რეკომენდებულია, ივნისში მსხმოიარე ჯიშები: Honeoye, Jewel და Wendy.

შიდა ქართლში მოსაყვანად რეკომენდებული დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური ჯიშები: Diamante, Aromas, Sweet Ann, Albion და San Andreas.

მორფოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებები.

მარწყვი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მარწყვის მინისზედა ნაწილი შედგება მრავალწლიანი ღეროებისაგან 12-15 სმ სიგრძის. მინისქვეშა ნაწილი არის ფესურა, რომელიც წარმოქმნის დამატებით ფუნჯა ფესვებს. მე-3-4 წელს ფესურის ყველაზე ხნიერი ნაწილები ხმობას იწყებს ფუძესთან და დედა მცენარე იშლება ცალკეულ ნაწილებად, პარტიკულარებად. პარტიკულაცია არის მარწყვის ვეგეტატიური გამრავლების ბუნებრივი წესი. (რომელიც დაკავშირებულია დედისეული ინდივიდების დაბერებასთან და შესაბამისად შეიღვეული მცენარეების ფორმირებასთან).

მოსავალს იძლევა დარგვიდან პირველ წელს. სამრეწველო მოსავლიანობა კი იწყება დარგვიდან მეორე წელს და შეიძლება გაგრძელდეს 4-5 წელი. მოსავლიანობა უხვი და რეგულარულია. 1ჰა-დან მიიღება 6-7ტონა.

მარწყვი ძირითადად მრავლდება ულვაშებით. ერთ სავეგეტაციო პერიოდში ახასიათებს განმეორებითი და მრავალჯერადი მსხმოიარობა – რემონტატულობა.

ნაყოფის სიდიდე მკვეთრად ცვალებადობს კრეფის პერიოდის მიხედვით. მარწყვის პირველი კრეფის ნაყოფები, როგორც წესი უფრო მსხვილია, ვიდრე შემდგომი კრეფის, ამიტომ ნაყოფის საშუალო მასა განისაზღვრება ცალ-ცალკე ყოველი კრეფის დროს.

აბრეშქვები

მარწყვისათვის ნიადაგის დარგვისწინა დამუშავება დამოკიდებულია წინამორბედ კულტურებზე და დარგვის დროზე. საშემოდგომო დარგვის დროს, ბოსტნეული კულტურების შემდეგ ნიადაგი უნდა გადაინას 30-40 სმ. სიღრმეზე, დარგვამდე ორი თვით ადრე. ხვნის წინ ნაკვეთზე

უნდა მოხდეს 40-50 ტ. გადამწარი ნაკელის ან კომპოსტის, 120 კგ. ფოსფორის და 90 კგ. კალიუმის სასუქის შეტანა. დარგვამდე ორი კვირით ადრე ნაკვეთზე უნდა ჩატარდეს ღრმა კულტივაცია და დაფარცხვა.

მარწყვი შეიძლება დაირგოს ერთ რიგად, ორ რიგად და კვადრატულ ბუდობრივი წესით. აქედან უკეთესია ერთრიგისი დარგვა კვების ართი 80-90 X 20-30 სმ. დარგვის საუკეთესო დროა ადრე შემოდგომა ან გაზაფხული. შემოდგომაზე დარგული მცენარეები ვეგეტაციის დამთავრებამდე ასწრებენ ფესვების გამოტანას და მომავალ წელს შეუძლიათ მოგვცენ 30-40 ც/ჰა მოსავალი.

მარწყვი ირგვება ხელით ან მანქანებით. ნაკვეთზე, რომელიც ირწყვება, დარგვამდე ერთი დღით ადრე იჭრება კვლები რიგთაშორისების მანძილზე. ჩითილი უნდა დაირგოს კვლის ზურგის ქვედა ნაწილში მას შემდეგ, რაც იგი წყლით გაიჟღინთება.

დარგვიდან 2-3 დღის შემდეგ ტარდება რიგთაშორისების კულტივაცია და მცენარეების შესწორება, 5-6 დღის შემდეგ კი მოწმდება რამდენად გაისარა მცენარე.

გაზაფხულზე 5-8 სმ. სიღრმეზე ტარდება კულტივაცია, სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნაკვეთი ირწყვება 5-6 ჯერ და ყოველი მორწყვის შემდეგ ტარდება კულტივაცია. ზაფხულში საყვავილე კვირტების ჩასახვამდე ტარდება ჩითილების გამოკვება 30-30 კგ. ამოტითა და ფოსფორით და 20 კგ. კალუმი.

მსხმოიარე პლანტაციის აბრეშქვები

ადრე გაზაფხულზე ხდება მცენარის მკვეთრი ფოთლების მიცილება. უნდა გაფხვიერდეს ნიადაგი და ჩატარდეს მცენარის გამოკვება 35-40 კგ/ჰა-ზე სრული მინერალური სასუქით (მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით). სავეგეტაციო პერიოდში საჭიროების მიხედვით უნდა მოხდეს ნიადაგის მორწყვა და გაფხვიერება. ნაყოფის გაჭყყინებისა და ლპობის თავიდან აცილების მიზნით, რიგის გასწვრივ უნდა დაეფინოს სინთეტური აპკი ან სუფთა ნაშა. პროდუქტულ პლანტაციებში კულტივაციის დროს უნდა მოცილდეს მცენარის ულვაშები. შემოდგომით ღრმა გაფხვიერების დროს რიგთაშორისებში უნდა მოხდეს 20-25 ტონა ნაკელის შეტანა.